


140 /  
1958/3



# ვერცხლის

4  
საბარეო  
1958



ლენინი—გიგანჯიანი.

# პ ი თ ნ ე რ ი

საქართველო  
საბჭოთაო სოციალისტური რესპუბლიკა



## შ ი ნ ა ა რ ს ი

83.

- ა. კონონოვი—მდინარე შუნზე (მოთხრობა, თარგმნა ე. ჩხიკვაძემ) . . . . . 2
  - ბ. მარშაკი—ბუა (ზღაპარი ლექსად, თარგმნა გ. გოგიავილიმა) . . . . . 5
  - ვ. ოქროპირიძე—ერთ ეზოში (ნარკვევი) . . . . . 8
  - რ. ამუხინა—ქოლგა (მოთხრობა, თარგმნა ფ. ნიშნიანიძემ) . . . . . 12
  - ლ. სულაბერიძე—ყანაში (ლექსები) . . . . . 15
  - რ. ჩაჩანიძე—ვერცხლის ხეობის საიდუმლოება (მოთხრობა) . . . . . 16
  - ტეკნიკის სამყაროში . . . . . 23
  - ნ. კეცოველი—ტყე (წერილი) . . . . . 24
  - ზ. პარედი—(თარგმნა შ. დარახველიძემ) . . . . . 28
  - გ. დათუაშვილი—ჩვილი ბარტყებისათვის (ბუნების კარი) . . . . . 30
  - მოკლედ ყველაფერზე . . . . . 31
  - გასართობი . . . . . 32
  - ნ. ოქროპირიძე—რკოს სათამაშოები (წერილი) 32
  - გარეკანის პირველ გვერდზე „ქილაობა“—ნახ. დ. ხაბუტაშვილისა, მეორე გვერდზე „ლენინი—გომნაზიელი“ ქანდაკება ვ. ციგალისა, მესამე გვერდზე „რკოს სათამაშოები“ შესრულებული ნ. ოქროპირიძის მიერ, ნახატი გ. ფოცხიშვილისა. მეოთხე გვერდზე იუმორი.
- ვეურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, დ. ხაბუტაშვილის, რ. ცუცქერიძის, ალ. გიგოლაშვილისა და დ. ნოღიას მიერ.



რედაქტორი რევაზ მარჯანი

სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლეხანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორჭია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

საქართველოს ალკა  
ცენტრალური კომიტეტის  
ქოველთვიური  
საბავშვო ჟურნალი

# 4

აპრილი  
1958



გამომცემის ფული  
XXXII

ს ა ბ ლ ი ტ ვ ა ზ ი

9557





ა. კონკოვა

ნახ. ალ. გიგოლაშვილისა

## მდინარე შუშუბე

სოფელი შუშენსკოე ციხირში, მდინარე შუშის ნაპირას მდებარეობს. ძველ დროში ბევრმა მისი არსებობაც არ იცოდა: რკინიგზასა და დიდ ქალაქებს დაშორებული, სადღაც, ტყეებსა და ტბებს იქით იყო იგი გადაკარგული. ამ სოფელამდე წერილებიც კი იშვიათად აღწევდა.

შუშენსკოეს განაპირას ცხოვრობდა ღარიბი გლეხი სოსიპატჩი. მას ძმისწული ჰყავდა, რომელსაც სახელად ალექსეი ერქვა, სოსიპატჩი კი ლიოშკას ეძახდა.

სოსიპატჩი იხევებზე და კურდღლებზე სანადიროდ ხშირად დადიოდა. ლიოშა თან არასოდეს არ მიჰყავდა — პატარა ხარო.

ერთხელ, ამის გამო, ლიოშამ იტირა კიდევ, სოსიპატჩი კი სანადირო მზადებს ვანგებ აჭინაურებდა, — ეტყობოდა, ვილაცას ელოდა. ლიოშა მის გვერდით იდგა და ტიროდა. იმ წუთს სოსიპატჩი იმდენად სძულდა,

რომ მისი დანახვაც კი არ უნდოდა და ამიტომ შარაგზისაკენ იყურებოდა, იქ კი ჰყვოდა გვირილები და სერანობდნენ ბატები. ასეთი იყო ეს წყნარი შარაგზა.

ხოლო ამ შარაზე გარკვევით ჩანდა მხარზე თოვგადაკიდებული, შავ პიჯაკში გამოწყობილი კაცი. იგი სწრაფად მოაპიჯებდა, ჩანდა სოსიპატჩიდან მოიჩქაროდა.


ლიოშამ ცრემლების შესაჩერებლად ხელის გულში თვალეზე მიიფარა, შემდეგ ხელები ჩამოიღო და უფრო ატირდა: სოსიპატჩი პიჯაკიან კაცს მასზე უთითებდა და იცინოდა:

— შეხე, ილიჩ, როგორ წუხს ჩემი ყმაწვილი: სანადიროდ არ მიჰყავთ!..

მაგრამ კაცს, რომელსაც ილიჩს ეძახდნენ, არ გაეცინა. მასწინ სოსიპატჩიმაც შეწყვიტა სიცილი და თქვა:

-- ბედი არ წყალობს ყმაწვილს!





— ბედი არ წყალობს?— იციხა ილიჩმა. ისე რომ ლიოშასთვის თვალთ არ მოუშორებია.

— შენ თვითონ განსაკუთრებული ხარ უნდა ტყეში! სადმე როგორც ფეხს წამოაგებებს.

— არ წამოაგებებს, ჩვენი ბილიკით ვივლით.

— ტყის ქათმებიც სწორედ ზედ ბილიკებზე ჩამოგვიფრინდებიან!— თქვა სოსიპატრიჩმა, მაგრამ მეტს აღარ შეაკამათებია.

ასე წავიდა ლიოშა სანადიროდ. პირველად თავის სიცოცხლეში.

ტყეში გრილოდა. როდესაც მინდვრად გავიდნენ, მზემ ისევ ისე დააცხუნა. მინდორში მაღალი ბალახი ამოსულიყო და ფუტკრები ბზულოდნენ, ჰაერი მურყანის, ყვავილების და ფიჭვის სუნით იყო გაჯდენილი. ასეთი მინდორიდან კაცს წამოსვლა აღარ მოუწოდებოდა.

უცებ ილიჩმა თქვა:

— დახე, თურქე ქაშარი არ წამოშილია. მამ დღეს ვერ მისვრია და ეს არის!

ლიოშამ იცოდა, რომ მონადირეები წელზე ქაშარს იჭერენ დახოცილი ფრინველების ზედ დასაკიდად. მან სოსიპატრიჩს გადახედა: ისიც უქაშაროდ იყო. ლიოშა გაჩერდა: რა ნადირობა უნდა ყოფილიყო სროლის გარეშე. ილიჩმა შეხედა მას და გაეცინა:

— ბედი არ გეწყალობს?

ამ დროს წინ, ბუჩქების თავზე, რაღაცამ გაიქროლა. ილიჩმა წაშში ჩამოიღო მხრიდან თოფი და დაუმზინა. მთელ ტყეს გრიალით მოედო სროლის ხმა.

ილიჩმა თოფი დაუშვა და დამწავესავით თქვა:

— აი, ვერ მოვითმინე... თვითონაც არ ვიცი როგორ ვესროლე.

ლიოშა კი გახარებული გაუარდა წინ. ბუჩქებში ძალე მონახა მოკლე ტყის ქათამი. ამის შემდეგ ნამდვილი ნადირობა ვაჩადა. საღამო კამს მონადირეებს სამ-სამი ტყის ქათამი მოჰქონდათ. იმ ერთს კი, რომელიც ილიჩმა პირველად მოკლა, ლიოშა მოათრევდა.

როდესაც ტყიდან გამოვიდნენ, მზე უკვე ჩადიოდა. მინდორში ბალახი ნაშით დაფარულიყო და გაგრძობულიყო. მხოლოდ დღის განმავლობაში მზით გამთარბი ბილიკი იყო თბილი. ლიოშას უცვირდა ეს და შიშველი ფეხებით დროდადრო ბალახებიდან ბილიკზე გადაარბოდა ხოლმე.

უცებ ილიჩმა მას მხარზე ხელი მოჰკიდა და მდინარე შუშე მიუთითა: იქ, შორს, გარეული გედების გუნდი მიცურავდა. ჩამავალი მზის სხივებზე ისინი ვარდისფერ ღრუბლებს წააგავდნენ.

ილიჩმა დიდხანს უცვირა მათ... შემდეგ მზე ტყეს მოუფარა და გედები აღარ ჩანდნენ. სახლში წასვლის დრომ მოატანა.

შინ რომ დაბრუნდნენ, ლიოშა ძიას შეეკითხა, საიდან მოვიდა ილიჩი შუშენსკოში?

— თავისი სურვილით არ ჩამოსულა, — უპასუხა სოსიპატრიჩმა. იგი იქ მეფემ გადმოსახლა.

ამის შემდეგ ლიოშა მხიარულად მიდიოდა იმ ქობთან. სადაც ილიჩი ცხოვრობდა. მაგრამ იგი მთელი დღეები მუშაობდა— გვიან ღამემდე კიბხულობდა და წერდა. არაფრით არ შეიძლებოდა იმის გამოცნობა, თუ ხელახლა როდის წავიდოდა სანადიროდ.

... დაღვა ზამთარი და მდინარე შუში ყინულით დაიფარა. ახლა ილიჩთან შეხვედრა უფრო გაადვილდა: თითქმის ყოველ საღამოს, მუშაობით რომ დაიღობოდა, მდინარეზე საცივგრაოდ დადიოდა. იმ დროს შუშენსკოეში ციგურები იშვიათი მოვლენა იყო. ბავშვებმა უყურეს ილიჩს, უყურეს და ბოლოს თვითონ დაიწყეს ხის ციგურების კეთება, კაეებს კი რკინისას უკეთებდნენ.

მარბათა, ცოტა მოვიანებით, მაგრამ მაინც გაუკეთა სოსიპატრიჩმა ლიოშას ხის ციგურები.

ლიოშა საჩქაროდ გაიქცა მდინარისაკენ. მივიდა და რას ხედავს: მთელი ყინული ნამქერს დაფუტრავს. ნაპირზე შუშენსკოეს ყმაწვილები დგანან და არ იციან რა ჰქნან: საცივგრაო ადგილი აღარსადა!

უცებ ლიოშამ მდინარისაკენ ჩველად, აჩქარებული ნაბიჯით მომავალი ილიჩი დაინახა. «ახლა იტყვის: «ბედი ისევ არ გეწყალობს?»— გაიფიქრა ლიოშამ. მაგრამ ილიჩი მოვიდა, შეხედა ჯერ თოვლს, მეტე ბავშვებს და მხიარულად თქვა:

— მოდით, ნამდვილი საცივგრაო მოედანი მოგაწყობთ! და დაიწყო იმის ჩვენება, თუ როგორ კეთდება საცივგრაო მოედანი.

ბავშვები საქმეს შეუდგნენ: გადახეტეს თოვლი და მალე მომავალი საცივგრაო მოედანი გაჩვენეს თეთრი კედლები აღმართა. შუაში მოქცეული ყინულის მოედანი დაგავეს. შემდეგ ტყეში წავიდნენ, ნაძვის ტოტები დაამტკრიეს და თოვლის კედლები ტოტებით მორთეს.

როდესაც საცივგრაო მოედანი უკვე მზად იყო, ილიჩმა ყველაზე პატარებს ასწავლა, თუ როგორ ეცურავით ისე, რომ ცხვირ-პირი არ დაემტკრიათ. ამ პატარებში ყველაზე უმცროსი ლიოშა იყო. ამიტომ ილიჩი მას სხეებზე მეტს ასწავლიდა: ისინი კარგახნობით დასრიალებდნენ ერთად ხელიხელჩაკიდებულნი.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. სოფელი შუშენსკოე მსოფლიოში ცნობილი გახდა: ახლა ყველამ იცის, რომ 1897 წელს ვლადიმერ ილიჩს ძე ლენინი, ბეტერ-ბურგში «მუშათა კლასის გათავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი»-ს დაარსებისა და ხელმძღვანელობისათვის, მეფის მთავრობამ ამ სოფელში გადმოასახლა. სამი ხან-

გრძლივი წელიწადი გაატარა მან გადასახლებაში, ცი-  
ბირის ამ ყველაზე შორეულ, მივარდნილ კუთხეში.

ახლა სოფელ შუშენსკოეს ველარც იცნობთ!

შუშენსკოეს ბავშვები, რომლებიც ოდესღაც ხის ცი-  
გურებით დაცურადნენ, დიდი ხანია გაიზარდნენ. მდი-  
ნარე შუშუზე ახლა ახალი ბავშვები ციგურაობენ. ოღონდ  
მათ ნამდვილი, რკინისაგან გაკეთებული კარგი ციგურე-  
ბი აქვთ.

ერთ ზამთარს სოფელ შუშენსკოეში მუშა ჩამოვიდა.  
იგი ამ სოფლის მეკიდრია, ოღონდ ახლა ქარხანაში მუ-  
შაობს და ქალაქში ცხოვრობს, ოჯახი კი ისევ სოფელში  
ჰყავს.

აი, მან დაისვენა, შემდეგ აიღო ციგურები და თავის  
ვაჟიშვილთან ერთად მდინარე შუშუზე გასწვია საციგურ-  
რაოდ. გზადაგზა შვილს ეუბნება:

— მოდი, გინდა შევეჯიბროთ!

— მოდი, — უპასუხა შვილმა, — გულში კი გაიფიქრა:  
«რას მაჯობებს, ეგ ხომ ჩემთან შედარებით მოხუცია».

მივიდნენ მდინარეზე, მოირგეს ციგურები და გაქანდ-  
ნენ. მამამ შვილს გაასწრო. შვილი დაიბნა. შეხედა მამ-  
ის გრძელ ფეხებს და ჩაილაპარაკა:

— მამ არა და... დახე, რა გრძელი ფეხები გაქვს!

მამამ გაიცინა:

— გრძელმა ფეხებმა კი არა, მარდმა ფეხებმა გა-  
ჯობეს!

შემდეგ ისევ დაიწყეს ცურაობა. მამამ ისევ გაუსწრო  
შვილს, გაუსწრო და უთხრა:

— შენ როგორ დამეწევი, როდესაც ციგურებით სია-  
რული მე თვით ლენინმა მასწავლა.

ამის შემდეგ შვილს უაპობ, თუ როგორ მოეწყო მდი-  
ნარე შუშუზე პირველი საციგურაო მოედანი. შემდეგ კი,  
როდესაც ნაპირზე ამოვიდნენ, შვილს აჩვენა ის ადგი-  
ლი, საიდანაც ტიაგაში გადმოსახლებული ლენინი თავი-  
სუფალი ველების გუნდს გაჰყურებდა.

თარგმნა შ. ჩხიკვაძემ



ბიურაუ საბუნების  
წყობილა „ჩიხაქერი“  
C. მაყრაი

სოცხა,  
10 გებ. 1958

მოსკოვში, ჩქალოვის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ სახლში  
ცხოვრობს კეთილი ზოხუცი. პატარების დიდი მეგობარი  
და საყვარელი მწერალი, სამუელ იაკობის ქვე მარშაკი.

მას დედამიწის ყველა კუთხეში იცნობენ ბავშვები.  
მისი მზიარული ზღაპრები და ლექსები მრავალ ენაზე  
თარგმნილი. რომც წელიწადზე მეტია, მარშაკი დაუ-  
ლაღავად გრომობს ყველაზე პატარა მკითხველებისათვის.

მაქსიმ ზორკი დიდად აფასებდა მარშაკს, როგორც  
რუსული საბჭოთა საბავშვო მწერლობის ფუძემდებელსა  
და შემქმნელს.

სამუელ იაკობის ძე მარშაკი ცნობილია თავისი უზა-  
ღლო მთარგმნლობითი მუშაობითაც. მან რუსულ ენა-  
ზე თარგმნა სახელგანთქმული ინგლისელი კლასიკოსები  
შექსპირი, ბლუიტი, ბაირონი, შელი, კიტსი. კოპლინი  
და დიდი შოტლანდიელი პოეტი რობერტ ბერნსი.

თქვენ ყველანი იცნობთ იტალიელი მწერლის ჯანი  
როდარის მზიარულ ლექსებს. სულ პირველად ისინი რუ-  
სულად მარშაკმა თარგმნა.

გასულ წელს ჩვენმა ჟურნალმა მარშაკს დაბადების  
70 წელი მიულოცა და სთხოვა სპეციალურად დაეწერა  
რაიმე „პიონერისათვის“. ჟურნალის თხოვნა მარშაკმა  
შეასრულა და ჩვენს მკითხველებს გამოუგზავნა ახალი  
გამოუქვეყნებელი ზღაპარი. ქართული ბავშვებისადმი მიძ-  
ღენილი ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსიც მარშაკმა სპე-  
ციალურად ჩვენი ჟურნალისათვის დაწერა.



ქართველო უმარელო, შორეული როდი ვარ,  
მეგობარი მოვდივარ, ქარს მევანდე აფრები:  
კავკასიის თოვლიან მწვერვალღებზე მოვდივარ,  
მომატქს ბევრი მოკითხვა, მზიარული ზღაპრები.

თუმცა თქვენთვის ზღაპარი რა ახალი ხილია,  
თვითონ კავკასია უძველესი ზღაპარი.  
იგრავივო თქვენი საღაშქრო კოციონი და ლხინია  
და თქვენს მიერ ფეხდაფეხ შემოვლილი მთა-ბარი.

თქვენს ძველ მხარეს ხალაში! ახალ მწეში კაშაყებს!  
ალარც მიწას ემჩნევა ძველისძველი ჭრილობა.  
უმღერიან დედები რუსთაველის ვაჟკაცებს  
და ბოლშევიკ მამათა ჯერ არანახულ გმირობას.







ს. შარვაშიძე

ნახ. დ. ნოდარია

ძილმა იცის ქურდული  
სტუმრობა და თამაში,—  
თუ კარს ადევს ურდული,  
ძვრება ჭუჭყლტანაში.

სტუმარი ცისმარი,  
მოაქვს ბევრი სიზმარი.  
ბევრი კარგი ზღაპარი,  
თუ ჩააქრე ლამაზარი  
და დახუტე თვალები—  
პაწაწინა თვალები.

და თუ ახირებულა,  
არა სძინავს ზოგიერთს,  
ბუა კვლავინდებურად  
ჩამოუვლის ლოვინებს.  
ძილი ძმია უმცროსი  
და ბუა კი უფროსი.

ბუა იცავს სიწყნარეს  
და ხმაურს ვერ იწყნარებს.

ვისაც ძილი არ გიყვართ,  
ყველას ბუა წაგიყვანო!

რალა მოცლა ექნება,  
საქმეს შვრება აწინაის—  
პარკში მიივრეება  
ბუა ყველა ტრამვაის,  
ტროლეიბუსს,  
ავტობუსს,  
ქუჩაში არ დატოვებს  
არც პატარა ავტოებს.

ეუბნება: კმარაო,  
ისირილეთ სვალაო!

თუ საღმეა ხმაური,  
ჩხუბი, აურზაური,  
ბუა დააშოშვინებს,  
აუვლის და ჩაუვლის.

კაშა არ ახსენდება,  
არც რა აღარღიანებს.  
უხზობს დასახვენებლად  
დადღლილ აღაშინებს.



მას იცნობენ ჩიტები,  
ფრთახატულა პეკლები,  
ქუჩები და ხედები,  
ჩქარი მატარებლები.

ესტუმრება ვაგონებს,  
ბავშვებს თავს მოაგონებს.

ურჩებსა და ჯოტებს  
თავქვეშ ზაღის მთლებს,  
არ შორდება ხაწოლებს,  
ცელქებს სიზმრებს აწინებს.

ხან ჰერში მიფრინავს,  
ცაღ აჰყვება თვითმფრინავს.  
დასტრიალებს სავარძლებს,  
ხმაურს ნებას არ აძლევს.  
მისი მკაცრი ბრძანებით  
იძინებენ მგზავრები.

ბუას უყვარს სიწყნარე  
და ხმაურს ვერ იწყნარებს.

ერთხელ  
ღამით  
ბუასთან,  
ბუა ტარაბუსთან  
ტელეფონმა დარეკა:  
არიქაო, არიქა!  
არ იქნა და არ იქნა,  
ჩვენი ბიჭი მანახე  
ხან ისეა, ხან ასე.  
თუ ძარღვებს არ მოგვიშლის,  
არა წვება ლოვინში!

ყველას ხვდება, აცილებს,  
იცინებს და აცინებს,  
თვითონ რომ არ იცინებს,  
სხვასაც აღარ აძინებს...





აღარ გვინდა, არაო,  
წაიყვანე ჩქარაო!

არა ტყულება მანახე,  
ხშირად იცის მან ასე:  
— რას დამაკლებს ბუაო,  
ბუა-ტარაბუაო!

დაიძინეს მტრედებმა,  
ველებმა და ქედებმა.  
წერცხლებმა და შაშვებმა,  
დიღებმა და ბავშვებმა,  
სძინავს ყველა შენობას...



არ იძინებს მანახე,  
ხან ისეა, ხან ასე.

უცებ ვილაც შემოვა,  
ჩამოჯდება საწოლთან:  
— ვინ არიო, ვინ არიო,  
ცელქი მოუხვენარიო,  
ვის არ უნდა დაწოლა?!

აწრიალდა მანახე,  
დადგა ბიჭი ძალაზე:  
— რა ვქნა, ძილი არ მიყვარს,  
ვერსადაც ვერ წამიყვანს!

დააკტერდა ბუა და  
სიცელი აუფარდა...



მიხვდა, ბიჭი ურჩია,  
და ტკბილ ხმაზე ურჩია:  
— დაიხურე საბანი,  
ნუ დაიწვე ბაბანი,  
თუ მანვალე ზოგივით,  
სხვათაირად მოგივლი:  
გადაგაქეცე თოჯინად.  
პაწაწინა თოჯინად —  
„ვანკა-ვსტანკა“ იქნები, —  
ვერ დაწვები ლოგინში  
თუნდ იხადო ბოღინში.

გახალისდა მანახე:  
— თუ ასეა მართლაო,  
სიხარულით ამაგვხე,  
ამხდენია ნატვრაო!

თქვა თუ არა მან ასე,  
ცოტა წარბო შეიკრა  
და ცუდლღუცი მანახე  
„ვანკა-ვსტანკა“ შეიქნა —  
ლოყებდაბრაწული და  
ოვალეგაციანებულში...  
ვერ იქნა და ვერ დაწვა  
საჯდომლამქიმებულში.

ხადლაც კეფენ ძალღებო,  
შორს მოჩინან სახლები,  
არ ისვენებს საათი.  
აქვს ერთი მასლაათი.

აბარბაცდა მანახე,  
ხან ისე და ხან ასე,  
კინწი სწყუდება წვალებით,  
ეხუქება თვალებით.

მაგრამ მაინც ვერ წვება  
თავი მაღლა ეწევს.

წამოიწყო სიმღერა,  
კისტი მოიღერა...  
ხან თითები ირგვალს...  
ოვალა, ვერ დაითვალა.

აღარ ჰქონდა უნარი,  
აწვალებდა ბურანი.

ახლოდან თუ შორიდან,  
უცებ ბუა მოვიდა.

ხწრაფდა, როგორც შურდული,  
შემოიჭრა ქურდულად.  
ბუას ხელში ეჭირა  
იხსტერი ბურთულა —  
პაწაწინა ფარანი.  
აბურძგნოდა ბალანი.

ყველა აწონ-დაწონა,  
აბურტყუნდა საწოლთან:  
— ვინ არიო, ვინ არიო,  
ცელქი მოუხვენარიო.  
ვისაც ძილი არ გიყვარს,  
ყველას ჩემთან წაგიყვანო!

მაგიდაზე ავიდა  
და აღმართა ხელები —  
ამოფრინდნენ ფარინიდან  
კობტა გულწითელები.

შეიხვეწა მანახე —  
ხან ისე და ხან ასე:  
— დამიჭირე ჩიტოო,  
სუყველაზე დიდიო.  
ჩემებია ყველანიო,  
ჩემ მოთახშო არიან!...





—არა, მოუსვენარო,  
ეს მხოლოდ სიზმარია,  
დაიძინე ტკბილი და  
უშვითველი ძილითა.

ვერაფერმა დალაღა  
ტარაბუა ქალაქი,  
მუიხუნა თავი და  
ახლა სხვაგან წავიდა.  
მისდევს ტყეში ნაილიკებს.  
ხადლაც წყარო ლიკლიკებს,  
აღაგ ბშირი ტეგრია,  
აღაგ—ახო ვერასი.  
თურმე ტყეშიც ბერია,  
ხალხი მოუსვენარი—  
ჯერ პაწაწა ბარტყები:  
ჩხიკვი, შაშვი, შოშია.  
ბუა ყველას აფრთხილებს:  
—კოტი ფულუროშია.



ისხედიოთ ბუღეში,  
არ დაეშვათ მიწაზე.  
რადგან კიბო უხეში  
უძლურს ხელად იტაცებს!

ძილი ძმა უმცროს-  
და ბუა კი უფროსა.

ძილი ღამე მუშაობს.  
ღღე წვება და ისვენებს.  
ბუა მუღამ მუშაობს  
და არადროს ისვენებს.



ტარაბუას სტუმრობა  
არ გეგანოთ ხუპრობა.

თუ ხადმეა ყვირილი,  
წივილი და კივილი,  
ეს—პირველი კლასია,  
იქ სულ მუღამ ახეა,  
აწუნარებენ ერთმანეთს.  
ჩხუბი და გინახია.

—წუნარაღ!—ყვირის ხათუნა  
და ბანს აძლებს დაოუნა.

—არაფერი მიქნია!—  
თავს იმართლებს ფიქრია.

—სულ პაატას ბრალია!  
—დამნაშავე დალია!

—ხმაურია, ხმაური!—  
დაიძახა ზაურამ.

—მომკლა თქვენმა ზუზუნმა!—  
აწიოკდა თუთუნა.

იყო ერთი ყაყანი,  
ჩხუბი, აყალმაყალი,  
გულის გამწყალებელი.

მოუვიდა ბრაზი და  
მიდიოდა კლასიდან,  
თურმე მასწავლებელი.

უცებ ბუა მოვიდა,  
ხელად, განა შორიდან—  
მეზობელი სკოლიდან.

დააწუნარა ყველანი  
მუღამ მოუსვენარნი.

არ ეღლება ფეხები—  
ბუას ყველგან შეხვდებიო.

ყველა სახლში შეხვდებიო—  
მაღალში და დაბალში,  
მთაში, ბარში, ზღვაში და  
სამკითხველო დარბაზში...

ქვეყნად იცავს სიწუნარის  
და ხმაურს ვერ იწუნარებს.

საჩუქარი არა სურს,  
არც ჯოდლოებს ატარებს...

ბუა,  
ზღაპრის დასასრულს,  
სალამს გითვლით პატარებს.

თარგმა მ. გომიასვილიმა







# ეროვნობა

საქართველო  
საბავშვო

„განსაკუთრებით, დასაყუბელია ისეთი საზოგადოებრივი საქმე, სადაც თვით ბავშვები იჩენენ ინიციატივას. ხელავენ რაიმე უწყსრიგობას და ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გამოასწორონ იგი. ხელავენ, რომ ცუდად არის გაკეთებული, და ცდილობენ უკეთესობისაკენ მიმართონ საქმე“.

## ...ასი დაიწყო!

შუადღე გადასული იყო, როცა დათვაბე გაკეთილების დამზადებას შორჩა; ბურთის ხელი დაველო და ეზოში გამოვიდა. გაზაფხულის წზიანი ღარი იღვა. აბა, შინ რა გააჩერებდა!

— ბიჭებო, გამოდიოთ. ბურთი ეითამაშოთ!— შესძახა მან მეგობრებს.

— აი, ჩვენც აქა ვართ!— მოესმა, ზურაბ გვრიტიშვილის, ამირან ქობულაშვილის და რამაზ წერეთლის ხმა. ფეხბურთის მოყვარულმა ბიჭებმა მაშინვე წრე შეჭკრეს, ეზოში შეგროვილი გოგონები მიფანტ-მოფანტეს, კარში მეკარე შოთა ქვიშკილი დააყენეს და თამაში დაიწყეს.

მოულოდნელად ავთანდილმა ბურთის ისე მძლავრად დაარტყა ფეხი, რომ მეკარემ თვალის დახამამებაც ვერ მოასწრო, ბურთი თავზე გადაეცლო. დეიდა მამოსი ფანჯარას მოხედა და დამსხვრეული მინა წკრიალ-წკრიალით ჩამოცვივდა.

— ბიჭებო, აბა, გაეიქცეთ! შეძახა ზურაბმა და ქუჩაში გაეარდა. შოთა, ავთანდილი, რამაზი და ამირანი

ეზოში ახუხულებულ ხის ქობს მოეფარენ. გაწიწმაცემული დეიდა მამო ფანჯარასთან გაჩნდა:

— არა, მეტის მოთმენა აღარ შეიძლება!— ყვიროდა ის — ფანჯარას ერთი მინა აღარ შეარჩინეს! ახლავე სახლმმართველთან წავალ და გიჩივლებ!

მეზობლებმა ფანჯრები გამოა-



## ნ. კ. კრუშსკაძე

ლეს, ზოგი იფიანზე გადმოღვა, ზოგიც კარში გამოვიდა.

— აღარ არის ამათგან მოსვენება! გუშინ საღილით საესე ქებაი დავდგი ფანჯარაზე გასაციებლად და ბურთის შიგ ქებაში ჩამიგდეს, — გაიძახოდა ერთი მეზობელი.

— ქა, ვაგონილა ასეთი რამ? შინით სარეცხი უკრსად გამოფენია ეზოში!— ყვიროდა მეორე დიასახლისი. დიდანს იტოთქოთეს მეზობლებმა, იბუზუნეს, ბოლოს, როგორც იქნა დამშვიდდნენ და თავთავიანთ ბინებში შევიდნენ.

— აი, ხედავთ. ეზოში თამაშის ნებასაც კი არ გვაძლევენ.

— მაშ, სად წავილეთ?— ჩაიბუზულნა ავთანდილმა.

— ბურთის სათამაშო ადგილიც ისე პატარაა, რომ თავი კულს ვერ მოიქნევს. აქეთ რალაც ხუხულგია მიშენებული, იქით ნაფეთა და ღორღით არის საესე!— უგმამოფილოდ გაიძახოდნენ ბავშვები.

ლაპარაკში ნანი ფანიაშვილი ჩაერთა.



— ამდენ ბუზულს, სჯობია, ჩვენ თვითონ მოვიკიდოთ საქმეს ხელი-მოდით, ჩვენი ეზო ჩვენვე დავისუფთავოთ, მაშინ სათამაშო ადგილიც გვექნება.

— კარგი აზრია! — მოეწონათ ბიჭებს წინადადება.

ნელი მაქარაძემ და ქოჯე საჯოე-გამ ნინას ხელი წამოაღეს და ეზოში მივიწყებული პატარა სკვერის ბარჯას შეუდგნენ.

თეიმურაზ ამაშუკელმა ხეხილებს ძირები შემოუთხარა. პიონერებმა ნერგები დაისაკუთრეს, თავ-თავისი გვარი ფირფიტაზე წააწერეს და ტოტებზე ჩამოკიდეს.

— ამ ხეხილებს ჩვენ მოვუვლით! — გაიხალხლნენ ისინი.

გახალდა საქმე.

ნაგვისა და ღორლის გასახიდავად ნანი ფანიშვილის მამამ, ძია ზურა-

აბა. ვისაც ფეხბურთის თამაში გიყვართ, აქ მოიყარეთ თავი!

მარჯველ დატრიალდნენ ბიჭები: ფეხბურთის მოედნის გაკეთებას შეუდგნენ.

პიონერების საქმიანობაში უფროსებიც ჩაერთნენ. თამარ ქეშელაშვილმა, რომელსაც მთელი ეზოს ბავშვები ღვი-და თამარს ეძახდნენ, სკვერისაგან გასწვია და გოგონებს ყვავილების დარგვაში შეეშველა. მერე სახლმმართველისაგან გაემართა:

— პატივცემულო, კარგი იქნებოდა კალათბურთის ფარებისათვის ბოძები გვეშინა.

სახლმმართველს ეს აზრი მოეწონა და მალე ეზოში კალათბურთის მალა-ლი ფარები აღიმართა.

ბავშვებს იქვე მცხოვრები სპორტსმენი და პედაგოგი შოთა ვარსიმაშვილი დაეხმარა. ჩქარა ფეხბურთის ორი გუნდი ჩამოაყალიბეს. „ნაკადულის“ გუნდის კაპიტნად ათან-დილ დათვაძე აირჩიეს, ხოლო „მერცხლისა“ — თემურ ამაშუკელი.

ასე შეიქმნა საბჭოს ქუჩა № 143-ში დიდი შეგობრული კოლექტივი, რომლის უმრავლესობა პიონერები არიან. მათ სკოლის პიონერულ რაზმიდან გადმოჰქონიდათ ეზოში შრომის, დისციპლინისა და გონივრული გართობის ჩვევები.

### მიუღოოდნელი სიხარული

მის შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. ერთ დღეს ეზოში ფოსტალიონი შემოვიდა.

— რა ამბავი მოგვითხანეთ?! — შე-მოესიენ ბავშვები.

ფოსტალიონმა ეშმაკური ღიმილით გადახედა პატარებს და ღვიდა თა-



მარის ბინისაგან გასწვია. ცნობისმოყვარე ბავშვების მთელი გუნდი უკან აუდგნა.

— რა მოხდა? — გაუკვირდა დეიდა თამარს და მის კარბთან თავმოყრილ, ახმურებულ ბავშვებს გადახედა.

— აი, ნახეთ, გაზეთში ამ ეზოს პიონერების შესახებ თქვენი წერი-ლი დაბეჭდილია! — ღიმილით უბასუხა ფოსტალიონმა და გაზეთი „პიონერსკაია პრავდა“ გაუწვარა. დეიდა თამარმა გაზეთი გაშალა.

— ეს მე ვარ!? — შესძახა გაოცებულმა ნანიმ და სიხარულით ტაში შემოჰკრა. გაზეთში გოგონას პორტრეტი იყო დაბეჭდილი. ხელში ნოტების ფურცელი ეჭირა. მართლაც, ნანის ძალიან უყვარს მუსიკა.

აი, ფეხბურთის მოყვარული შოთა ქვიშვილიც, ბურთი რომ ჩაუხუტებია მკერდში და გამომწვევად იცინის.

— ეს კი მე ვარ! — გაიღიმა რამზმა, — აი, ქაღალდის თამაშის დროს რომ გადამიღეს...




საშა წყერიაშვილის ხშირად ნახავთ ხე-ზე მხატვრული ორნამენტების ამოკრთობარით.

მა, სატყერითო მანქანა გამოგზავნა... გადიოდა დღეები და სულ უფრო და უფრო ლამაზდებოდა ეზო.

პიონერმა ომარ თავართქილაძემ, რომელსაც სახარატო საქმე მეტად ემარჯვება, და ხეზე მხატვრული კრის პატარა ოსტატმა საშა წყერიაშვილმა ეზოს თავში სოკოსავით ცალ ფეხზე შესკუპული ხის მაგიდა გამართეს.

შოთა ქვიშვილი ეჭვის თვალით, შორიდან გასცქეროდა ეზოში მოფუსფუსე ბავშვებს მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ მეგობრები აღარ ხუმრობდნენ, სერიოზული გამომეტყველებით ეზოში ჩამოვიდა. ბიჭები შეკრბა და შესძახა:



პატარა გოგონებმაც გაიჩინეს საქმე.



მეგობრებს სპექტაკლის მომზადებაში ალარ აცლიან პატარები—ქართველებს და ლომებს აწყლებიან.

— ჩვენი ეზო 30 წლიანად უკიდობს წარწყრა. **მეგობრები**  
 აი, თურმე რა ყოფილა ზეიმის მი-

ზეზი! მართლაც, ეს დიდი სამსართულიანი სახლი პირველი იყო ლენინის რაიონში. რომელიც 1927 წელს მუშა-მოსამსახურეებს გადაეცა. ვი მოთვლის. ამ ხნის განმავლობაში რამდენი სახელოვანი ადამიანი აღიზარდა აქ და კიდევ რამდენი აღიზარდება მომავალში.

ეზოს ოცდაათი წლის იუბილეს მშვიდობის ფესტივალიც დაუკავშირეს. საყვირების ხმამ გახსნა საზეიმო საღამო. პიონერებმა ლიანა ჩიხიაშვილმა და თეიმურაზ ამაშუკელმა მაღალ ანბაზე წითელი ალაში ააფრიალეს. ცაში აიჭრნენ ეზოშივე გამოზრდილი თეთრი მტრედები.

შუა ადგილას აღმართულ ესტრადაზე რა არ წარმოადგინეს მეგობრებმა. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცეკვაში, სიმღერაში, მხატვრულ ტანვარჯიშში. ტუსი ვაწყრელიძემ საკუთარი ლექსი მიუძღვნა საყვარელ ეზოს, ნანი დანიამვილმა კი თავისი „კულსი“ და უკრა. ბავშვებმა ინგლისურ ენაზეც კი წარმოადგინეს ზღაპარი „სამი ბავა“.

მოსკოვიდან ტელეგრაფმა მოლოცვა გადმოსცა:

„თბილისი, საბჭოს ქ. № 143 ეზოს ორგკომიტეტს: „პიონერსკაია პრავდა“ გულთბილად გილოცავთ ნორჩ და მოზრდილ ნთუხიასტებს თქვენი ეზოს ოცდაათი წლისთავის დღეს. გისურვებთ მზიარულ დღესასწაულს! არც ერთი ღირსშესანიშნავი დღე არ გამოირჩება ამ ეზოს პიონერებს. ამას წინათ გადაწყვიტეს ეზოს პატარა სკვერში, ილია ჭავჭავაძის იუბილესთან დაკავშირებით, დიდი ქართველი მოსწინის ძეგლი დაედგათ. ეზოში მცხოვრებ მოქანდაკე დიმიტრი ყიფშიძეს ილიას პორტრეტის გამოძერწვა თხოვეს. ააგეს პოსტამენტი. და აი, სასურველი დღემ დადგა. თეთრ ზეწარგადაფარებული ძეგლის გარშემო მთელმა ეზომ მიიყარა თავი. ეზოს ყველაზე უხუცესმა მცხოვრებმა გიორგი ჩიხლაძემ ცისფერი ზონარი გადაქრა. ბერძი ამა-

— ჰო, შენ ეზოს ჩემპიონი ხარ ქაღარაკში და აბა, როგორ გამოჩრჩებოდი! — დინჯად უპასუხა დეიდა თამარმა, სათვალე გიყვითა და ახლა თემურ ამაშუკელის სურათს დააკვირდა. ბოლოში ეწერა: „მეგობრულად ცხოვრობენ ბავშვები ამ ეზოში, ისინი არასოდეს ჩხუბობენ, არ იფენებიან, თავისუფალ დროს უქმად არა კარგავენ. თუ გსურთ უფრო მეტი გაგავთ მათ შესახებ, მისწერეთ და ისინი გაპასუხებენ“.

— გმადლობთ, დეიდა თამარ, არ შეგარცხებენ, ახლა ჩვენ ვიცით! — გაიძახოდნენ ყმაწვილები და ძვირფას გაზეთს დააფრიალებდნენ.

**წ ი რ ი ლ ე ბ ი ს შ ტ ა ბ ი**

მას შემდეგ ერთი კვირაც არ იყო გასული და თამარ ქეშელაშვილის საფოსტო ყუთი წერილებით აივსო. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან იწერებოდნენ პიონერები:

— ძვირფასო თამარ მიხეილის ასულ! გწერთ თქვენთვის უცნობი პიონერი. მე მებუთე კლასში ესწავლობ. გაზეთში წაიკითხე თქვენი ეზოში მცხოვრებ პიონერთა საქმიანობის შესახებ. ძალიან მსურს რომელიმე მათგანს დავემეგობრდე. გთხოვ, ეს წერილი გადასცეთ მათ. ვეღვი პასუხს. ნახვამდის. სმენხოვა ნადია, ომსკის ოლქიდან“.

დეიდა თამარმა ერთხელ კიდევ ჩაათვალაწერა წერილი. ფანჯარა გამოაღო და შოთას გასახა:

— აბა, მიიღე ეს წერილი და უპასუხე შენს უცნობ მეგობარს!

გახარებულმა შოთამ კონკრეტი გამოართვა და შინისკენ გაქანდა.

მრავლი უცხო მეგობარი გაიჩინეს ამ ეზოს პიონერებმა: წერილები მოდის მოსკოვიდან, ოდესიდან, შირაქიდან, კიშინიურიდან, დაღესტნიდან, ვინ მოსთვლის, კიდევ საიდან. „წერილების შტაბი“— ასე უწოდებენ ბავშვები დეიდა თამარის დიდ საფოსტო ყუთს. იგი მრავალ საინტერესო ამბავს უამბობს პიონერებს.

ნანი ფანიაშვილი და ციმბირელი პიონერი კატია, წერილებით დამეგობრდნენ. უცხო მეგობარი ოცნებობს ნახოს საქართველო.

— ახლა ალბათ შენს ძველ ეზოში უკვე გაზაფხულია, სწერს იგი ქართველ გოგონას, ჩვენთან კი ქარბუქი მძინვარებს ყინვა 40 გრადუსს აღწევს. შე არ მინახავს სამხრეთის ზღვა, არც პალმები და არც მსმობიარე ვაზი და ლიმონი. ძვირფასო უცნობო მეგობარო, მომწერ რაიმე საქართველოს შესახებ, შე კი ვიამბობ შორეულ ციმბირზე, ტივიგაზე. სადაც გაყინულ გზებზე ციგებში შებნული ირმებით დაესრულალებთ“.

**„ ი შ ბ ი ლ ა რ ი “**

რა ფუსფუსი გაუმართათ ეზოში ყმაწვილებს? რისთვის რთავენ ფერადი ელნათურების მძივებით ხეხილსა და სახლის კედლებს?



დღეებელი სიტყვა და ლექსი წარ-  
მოითქვა. თვით პატარა ნანი თხინ-  
ვალულმაკ კი ვერ მოითმინა და  
წყრილა ხმით შესძახა:

-ტყეე მოისხა ფოთოლი.  
-ავერ მერცხალიც უყვიის.  
ბაღში ევაი ობოლი  
მეტის ლხენითა სტირის-...

**ქ ა რ ბ ი ს ა მ მ ე**

ეზოში წუნარი. ყველასთვის საყ-  
ვარული მოხუცი ცხოვრობს. რომელ-  
საც დედა გაიანეს ეძახიან. ბავშვებს  
ბეგრჯერ უნახვთ, თუ როგორ მძიმედ,  
თხერით ჩამოდიოდა მოხუცი კბიე-  
ბზე. მაღაზიაში მიდიოდა და დიდ-  
ხანს აღარ ბრუნდებოდა.

მოდით. მეგობრებო. დედა  
გაიანეს დაეხმაროთ! — თქვა ერთხელ  
ელგუჯა ხატიაშვილმა.

— სანამ სკოლაში წასვლის დრო  
მოვიდოდეს, მე პურზე გავეგზავნები,  
— ჩაილაპარაკა ქოვე საჯოჯამ. მას  
კარლო პაპუჩიანი გამოეხმაურა:

— მე გუშინაც კი მოუტანე ნა-  
ვით! განა დიდი საქმეა?!  
დასხდნენ, იკამათეს. იმსჯელეს...  
აღმოჩნდა. რომ ეზოში კიდევ იყო  
მოხუცებული ქალი ოლღა ჯაბანიძე,  
რომელიც ხშირად ავადმყოფობდა და  
მაღაზიებში სიარული არ შეეძლო.

დოლაობით ნოდარ წერეთელი  
უკვე შეშას უჩეხავდა დედა ოლღას.  
ქრისტიანე ცაგურია კი მოხუცთა  
ფუსფუსებდა შინ. ლუმელა დასან-  
თები და ვინ მოსთვლის, კიდევ რამ-  
დენის საქმეა გასაკეთებელი.

— თქვენ გაიხარეთ, შვილებო! გაი-  
ხარდეთ! — ლოცავდნენ კმაყოფილი  
მოხუცები გულისხმიერ ყმაწვილებს.

მეგობრებს არც ერთმანეთი ავი-  
წყდებათ. ისინი ხშირი სტუმრები  
არიან დედა თამარისა. რომელიც  
რჩევა-დარეგებებს აძლევს პიონერ-  
ებს. მან კარგად იცის თითოეული  
ბავშვის ოჯახური მდგომარეობა,  
კარგად იცის, ვინ როგორ სწავლობს  
სკოლაში და როგორ იქცევა შინ.

პიონერ საშა წვერიანოს კარგად  
იცნობენ მეგობრები. როგორც ხეზე  
ჭრის საუცხოო ოსტატს. მან ბეგრ-  
ჯერ გაახარა მეგობრები თავისი ყუ-  
რადღეები: ზოგს სურათის დამაზი  
ჩარჩო უთავაზა. ზოგს კი — პატარა  
თარო.

რვა მარტს დედაც კი გააოცა მი-  
სმა საჩუქრმა, ისე ოსტატურად  
იყო შეკრული ჯაგრისების შესანახი  
ორნამენტებიანი ყუთი.

\* \* \*

ახალი საქმე გაუჩნდათ მეგობრებს:  
თბილისი წელს 1500 წლისა ხდებ! —  
ხშირად ეზოში თავს იყრიან, მავი-



დის გარშემო სხდებიან და ერთმა-  
ნეთს თბილისის ისტორიიდან წაკით-  
ხულ წარმტაც ამბებს უყვებიან. რა  
საინტერესო. რა დიდი წარსული  
ჰქონია მშობლიურ ქალაქს!

ტუსო გამყვინთებმა საკუთარი ლექ-  
სიც კი მიუძღვნა საყვარელ თბილისს.  
ამას წინათ პიონერთა სასახლეს  
ეწვიენ, სადაც „თბილისის განყოფი-  
ლებში“ მრავალი ახალი რამ ნახეს  
და მშობელი ქვეყნის წარსული უფ-  
რო ნათლად წარმოუდგათ თვალწინ.

სალამობით, როცა ეზოში ბინდი  
ჩამოწევა, მეგობრები თავს იყრიან  
მწვანედ აბზინებულ სკვერში და  
თბილისზე სიმღერებს სწავლობენ.

ასე გადის დღეები შრომასა და  
სწავლაში. კარგი პირი უჩანს ეზოს  
მოამვალს.

**ნელი ოქაროიჩიძე**

ფოტო მ. თურქიახი



კვირა დღეს



— მოვიგეთ. იცი რა საინტერესო თა წაწი იყო!





რ. აპუსინა

ნახ. კ. შახარაძისა

# ქოლგა

დიმა და ტოლია დერეფანში იდგნენ და ნაღვლიანად ვასკეპროდნენ ქუჩას,

ციდან პირდაპირ ნიაღვარი ჩამოდიოდა. ეს წვიმა კი არა, ნამდვილი ღვართყფი იყო. იმას რა უქირდა, ვისაც ჩვეულებრივი ტანისამოსი ეცვა, მზიარულად გაიქცეოდა ამ კოკისპირულ წვიმაში. მაგრამ დიმა და ტოლია თვითმოქმედი კონცერტის რეპერტიციიდან ბრუნდებოდნენ. ახალ-ახალ, გაკრიალებულ ფორმაში გამოწყობილიყვნენ: თეთრი აბრეშუმის პერანგები ეცვათ, წითელი აბრეშუმის ყელსახვევები ეკეთათ. ხვალ დილით პიონერთა კრება იხსნებოდა. იგი სასახლის მოედანზე ნამდვილ სამხედრო პარადივით დაიწყებოდა.

მეგობრები დიდი ხანია იდგნენ დერეფანში. ლამის ათი საათი ხდებოდა. მაგრამ საპარადო ფორმით ამ თავსხმაში ხომ ეგრ გავიდიოდნენ. დილაზედ უთუოდ უნდა გაფრთხილებოდნენ ფორმას. ქოლგა! ახლა იგი ბიჭუყებს ყველა ნივთზე უკეთესად ეჩვენებოდათ.

რა უნდა ექნათ? სწრაფსა და მარლ დიმიას აზრები ქარივით გაურბენს ხოლმე. დონდლო ტოლია კი ლოდინით შესკერის მას. დიმას ემარჯვებო მოფიქრება. მაგრამ ახლა იმასაც უქირს მოძებნოს გამოსავალი. დრო კი გადის. უცებ დერეფანში ქოლგაინი ქალი და კაცი შემოვიდნენ... ქოლგა! დიმაზე მაშინვე მიიღო გადაწყვეტილება.

- გთხოვთ. მამაკითოთ. მიმართა მან შემოსულემს, თუ შეიძლება ყვეთხოვეთ ქოლგა!—და დიმაზე სხაბასხუპით უამბო მათ ვეღაფერი პიონერთა კრებისა და პარადის შესახებ.—თუ გნებავთ, დღესვე დაგიბრუნებთ ქოლგას. ცუდი არაფერი იფიქროთ... ჩვენ პიონერები ვართ...

— თუ ინებებთ, ქოლგის დაბრუნებამდე ჯიბის დანას მოგართმევთ, სამი პირი აქვს. კორსპანარობი, სადგისი... შეიღო ნაწილისაგან შედგება.—დასძინა ტოლიამ.

უფროსებმა ერთმანეთს გადახედეს.

— უნდა დავეხმაროთ ბავშვებს.—თქვა მამაკაცმა.

ქალმა კი უუკუყანოდ გაუწოდა ქოლგა.

— წაიღეთ.—მიმართა მან.—არავითარი საწინდარი არ გეინდა, ოღონდ პიონერული სიტყვა მოგვეცით, რომ დაგვიბრუნებთ, ხვალ დილით რვა საათზე გექირდება. ჩვენი ბინის ნომერია 6.

— პიონერულ სიტყვას გაძღვეთ!—ერთმანდ წამოიძახეს ბიჭებმა და ქოლგა გამოართვეს. ისინი თითქმის ერთმანეთზე მიკრულნი გამოეარდნენ ქუჩაში, მაგრამ მაშინვე უკან დაბრუნდნენ.

— ერიპა!—წამოიძახა დიმაზე.—სულერთია, თითო გვერდი დაგვისველდება. ორს ერთი ქოლგა ვერ გვეფარავს.

— ფაქტია. უპასუხა ტოლიამ და დიმას გადაწყვეტილებას დაელოდა.

— აჰ, მოვიფიქრე!—წამოიძახა დიმაზე.—მხრებზე შემაჯექ და ხელში ქოლგა დაიჭირე.

— რას ამბობ!—შეშინდა ტოლია,—მე სქელი ვარ!

— ერთი შენც! ბანაკში ორჯერ შენზე მძიმე კასრს ვწვდი!—უპასუხა დიმაზე.

— კი. მაგრამ ფორმას რომ დაგიშვებნი?

— ო, ეგ მართალია!—მოაგონდა დიმა.—რა ექნათ?—და უცებ შუბლზე შემოიკრა ხელი.—არის, მოვიფიქრე! ქოლგას და ჩემს ფორმას შენ მოგცემ, მე კი უფრომოდ გაგიქცევი წვიმაში.

— ცბიერიო!—მიუგო ტოლიამ.—მოდო შენ მოგცემ ჩემს ფორმას და ქოლგას და მე გაგიქცევი წვიმაში.

— ეჰ, ასეთ ფორმას განა ყველას ანდობენ წასაღებად! შენ კი უარს ამბობ!—უთხრა დიმა და მაშინვე სწრაფად გაიხადა ფორმა, თანაც ფეხსაცმელები ქოლგის ზედა წვერს გამოაბა, მისცა ტოლიას და მზიარულად გაიქცა ტომარებში. ტოლია კი ღინჯად მიამიჯებდა, გრძნობდა მასზე დაკისრებული მოვალეობის დიდ მნიშვნელობას.

— სამწუხაროა, რომ არავის დაუნახავს ჩვენი მოგზაურობა.—თქვა ტოლიამ, როცა თავიანთ დერეფანში შეირბინეს.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე დავინახე!—მოსმა უტეხ ხმა.  
ბავშვებმა მიიხედეს და დაინახეს ბიჭუნა, რომელსაც ისეთივე ჩინებული ფორმა ეცვა, როგორც მათ.  
„ესეც რეპერტიციიდან დაბრუნებულა“,—მაშინვე მიხედნენ ისინი.

— რამდენი ხანია ვდგავარ და ეს თავისმა არ წყდებია,—ამოილაპარაკა ბიჭუნამ.

დღია, ტოლია და ვაშლილი ქოლგა ადგილზე გაშვებდნენ.

ბოლოს ტოლიამ წარმოთქვა:  
— შევდივართ შენს მდგომარეობაში, მაგრამ... და თავი დახარა.

— მარტო მდგომარეობაში შესვლა რას მიშველის!— მიუგო ბიჭმა და უტეხ თრთოლით მიმართა:

— ბიჭებო, მიხსენით გაპირებებიან, მათოხვეთ ქოლგა! როცა მეტყვით, დაგებრუნებთ. მე გახლავართ ვიჩესლავ გოლუმები, ჩემს სიოცხლეში ტყუილი არ მითქვამს. თუ გნებავთ, გირაოდ ფეხსაკმელებს დაგიტოვებთ.

დღია და ტოლია ერთმანეთს მიმტერებოდნენ და დუმდნენ. დიმას სახეზე აზრთა ძლიერი ბრძოლა გამოხატოდა. წარბები შუბლზე მახვილ კუთხისებურად აწეოდა, ტუჩები დახამებულინსავან უთრთოდა.

ტოლიას სახე კი სრულ დაბნეულობას გამოხატავდა.  
— კარგი ფეხსაკმელები მაქვს. არ იფიქროთ ნაკლები ღირებულებისა იყოს.—თქვა სლავამ თითქმის უიმედოდ.

— იცი, რაშია საქმე?—მიუგო ბოლოს დიმა. ეს ქოლგა ჩვენი არ არის... უცხო აღმავანნი გვედნდნენ და გვათხოვენ... ხვალ აღიონზე უნდა მივეტანოთ.

— ჰო, თუ ასეა,—უბასუხა სლავამ და სახე კვლავ უფრო დაუდარდინდა.—თუ სხვისია, რა თქმა უნდა. შეუძლებელია...

— ტოლია, დაუძახა დიმა. ხომ არ შეიძლება სხვისი ქოლგის განათხოვრება? ჩვენ ხომ პიონერული სიტყვა მივეცი...

— ფაქტია, არ შეიძლება... რა თქმა უნდა. პიონერული სიტყვა მივეცი... დაუდასტურა ტოლიამ.

სლავა უკვე აღარ უუფრებდა ბიჭებს. იგი იდგა და ზიზღით შესიქეროდა წვიმას. მაგრამ ბიჭები არ მიდიოდნენ.

ტოლია, ჩემის აზრით ეს წვიმა შუალამემდე გაგრძელდება, არა?

— ფაქტია. გაგრძელდება, უყოყმანოდ დაუდასტურა ტოლიამ.

— ტოლია, ჩვენ ხომ გვედნდნენ?—ჩაფიქრებით წარმოთქვა დიმა.

— ჰო, გვედნდნენ...

— იცი რა,—უტეხ წამოიძახა დიმა, ნოღი ჩვენც ვენდო!

— ცხადია. უნდა ვენდოთ, წყისვე დავთანხმა ტოლია.

სლავა გამოცოცხლდა და სწრაფად იწყო ფეხსაკმელებს გახლა.

— ერთი შენც! უთხრა დიმა.—მაან გვიროდება ახლა ჩვენ შენი ფეხსაკმელები! მოგვეცი პიონერული სიტყვა და ვასწი. ოღონდ, გასაოფლეს. ხვალ დილის შეიღ საათზე ქოლგა ჩვენთან უნდა იყოს. თორემ რვა საათისათვის მითანას ვერ მოვასრუებთ.

... როცა სლავა თავის ღერფებში შევარდა, გოგონას დაეჯახა. ბავშვი სლუკუნებდა და მზრბზე ორი ნაწნავი უხტდა.

რატომ ხარ აქ? —ჰკითხა სლავამ.  
გოგონამ პირველად შიშით შეათვალიერო სლავა და შემდეგ უთხრა:

აი, ხომ ხედავ, —და წვიმაზე მიუთითა, —რამდენი ხანია აქ ვდგავარ...—ბავშვი გულამოსყენით ატორდა.—ნაწავადმყოფარი ვარ და ჩემი დასკვლემა არ შეიძლება. შემობრუნებს, —და კვლავ ასლუკუნდა. უკვე გვიანია... დედა, აღბა. საშინლად ეღვავს!

— ტირილი როგორ შეიძლება,—დარბასილურად უთხრა სლავამ.—შეწყვიტე ტირილი!

— ჰო, კარგი, თქვენ მართალი ხართ...—გოგონამ გულმოდგინედ უოჩწინდა ცხვირსახოკით ცხვირი და სლუკუნე შეწყვიტა. აწი აღარ ეტირებდა—გადაწყვეტილი დასძინა მან და... უფრო ხმაველა ატირდა.

სლავა მხოლოდ ოცი წამით შეყოყმანდა.

ჰა... უთხრა ბოლოს დაღვრემილად. გამომარათე!—და ქოლგა გაუწოდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს უძვირფასეს განძს იმეტებდა.

გოგონა თვალბდაქუცტილი მიაჩერდა მას.

ოჰ, გამაღობთ... როგორი... დიდხანს ეძებდა სიტყვას, თავაზიანი ყოფილხან... მაგრამ თქვენ ხომ სრულიადც არ მიკნობთ...



— ტოლია, ჩემის აზრით ეს წვიმა შუალამემდე გაგრძელდება, არა?



გიცნობ... არა. შენ კი არ გიცნობ. მაგრამ ვიცი, რომ დამიბრუნებ და სლავამ ყველაფერი უამბო გოგონას.

ხელო დილით ექვს საათსა და 30 წუთზე თუ ქოლგა არ მომიტანენ, იმ ადამიანების წინაშე ჩვენ ყველანი მატყუარები გამოვალთ.

— ქოლგა თქვენთან იქნება ექვს საათსა და 15 წუთზეა კი! — მზიარულად უთხრა გოგონამ და კარებისაკენ გასწავა.

— დიაცა, მიმართა სლავამ, — საქმე მაქვს.

ლუსია შეჩერდა.

— როგორი ფეხები გაქვს, გრძელი?

— ფეხები?... რა იყო, სადმე უნდა წავიდე? საერთოდ გამხდარი, მაგრამ გრძელი ფეხები მაქვს...

— დილა მშვიდობისა! რა შუაშია აქ გამხდარი თუ მსუქანი?... მე მინდა ვიკოდე: რა ზომის ფეხსაცმელი გვირდება? დიდი თუ პატარა?

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე!... ოცდაათობმეტ ნომერ ფეხსაცმელს ვხმარობ.

თავიდანვე ასე გეთქვა. დამიკადე. — და გაიქცა. ორი წუთის შემდეგ დაბრუნდა და გოგონას უხერხულად დეწყოლა ბოტები.

პა... ჩემი დისაა... მას ჯერჯერობით არ ვიკრდება.

...როცა გოგონა ღამის მეთორმეტე საათზე შინ დაბრუნდა, დედას ადამიანის ფერი არ ელო.

ოპ, რა კარგია, ლუსენკა, რომ მოხვედი, — გაუხარდა დედის, — შენ რა, ქოლგაცა გაქვს და ბოტებიც? სად იხოვინ? აბა, შედი ჩქარა ოთახში. მე ქოლგას ვაგებერთყავ.

მაგრამ, როგორც კი შევიდა ოთახში ლუსია, დედაც მასწივე შეტყუვა ქოლგით. მისი სახე სრულ განციფრებას გამოხატავდა.

— ლუსია, საიდანა გაქვს შენ ეს ჩვენი ქოლგა?

— დედიკო, ეგ ჩვენი სრულიადაც არ არის, მხოლოდ ჰგავს ჩვენას.

— არა, რას ამბობ, ეს ჩვენი! აი, ხომ ხედავ, მამაშენმა ზედ რომ ჩემი სახელი დააწერა.

— არა, დედა, ეგ სულ სხვა ქოლგაა! — და ლუსიამ სხვა-სხვაობით უამბო ყველაფერი.

— და რაც მთავარია. — სწრაფად დასძინა მან. — ხელო დილით, ზუსტად ექვს საათზე, უნდა მივეუტანო ქოლგა სლავას. სლავა შედი საათზე მიუ-

ტანს დიმას. დიმა კი რვა საათისთვის მიუტანს იმ ხალხს.

ლუსიას საუბრის დროს დედა დამა უკომბენტის ეშმაკურად გადახედდადენდენ ხილმე. ბოლოს ერთხმად გადაიხარხარეს.

— აი, რა ჩინებული ბიჭები ყოფილან! — წარმოთქვა დედამ.

— ხომ ხედავ! — მზიარულად უთხრა მამამ — აქი გვეუწნეოდი, მათ თავიანთი „ფეხსურთით“ მარტო მინების ჩამტყუევა როდი უხერხებოთ!

— შეილო, — მიმართა დედამ, — შეგიძლია ხელო მშვიდად იძინო და არსად წახვიდე. ეს ქოლგა ჩვენ მივეცი იმ ბიჭუნებს.

— თქვენ... ეს ჩვენი ქოლგაა... ოპ, დედა. მამა! რა კარგები ხართ!... — მაგრამ უცებ ლუსია წამოდგა მაგილიდან და სახე გაუშკაცრდა.

— როგორ თუ შემოძლია მშვიდად ვიძინო? ქოლგა ხომ მაინც უნდა მივეუტანო? იმ ბიჭებმა ხომ არ იციან, რომ ქოლგა თავის პატრონისაა?

— პო-ო — ამოიხვნეშა მამამ, — რთული მდგომარეობაა... მართლაც მოვიხდება ქოლგის წაღება.

ლუსია, დედა და მამა რიგრიგობით იღვიძებდნენ ყოველ ოც წუთში და საათს უცქეროდნენ — ეშინოდათ, ძილში არ დაგვიანებოდათ.

— ერთი იფიქრეთ, — ოხრავდა თავისთვის დედა, — მთელი ღამე არ უნდა იძინო მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი სახლიდან წაიღო ქოლგა, რათა ორი საათის შემდეგ უკანვე მიიღო.

დილის ექვს საათზე წამოიქრა ლუსია ლოჯინიდან.

— ლუსენკა, — მიმართა დედამ, — ქოლგას მაინც ნუ წივლივ, ისე წადი და უთხარი.

— რას ამბობ, — მიუგო ლუსიამ, — სლავა სერიოზული ადამიანია. რაკი პიონირული სიტყვა მისცა, მასასადამე, ქოლგა უნდა დაუბრუნოს. ბოტები ხომ მაინც უნდა წაუვულო?

...ზუსტად დილის შვიდ საათსა და 45 წუთზე, ქოლგამ შემოხაზა უკან დასაბრუნებელი გზა და კვლავ თავის სახლში ამოპყო თავი. დედა და მამა მზად იყვნენ მის მისაღებად. მამამ ამის ვამო კიტელიც კი ჩაიკცა და ყველა დილი შეიკრათუმცა, იმ დღეს ქოლგა არავის ვიკრებოდა — ჩინებული ამინდი იღვა და სასახლის მიუღწეველ პარადიც დიდებულს ჩატარდებოდა.

თარგმნა მ. ნიშნიანიძე





# ყანაში

ლალ სულაბერიძე

მარგვლა

ნახ. კ. ამბოკაძისა

გასამარგლო არის ყანა...  
აგერ ბინდმაჲ მოატანა;  
მუშაობენ გამგელებით  
კოლექტივის მმარგველებით.

მმარგველებთან ბიჭუნებით  
ღგანან თეთრი პერანგებით:



გოგონებს კი უფრიალებთ  
თავსაფრები ფერადები.

ღროზე უნდა მიშველება  
სიმინდების ღორთქო ფესვებს...  
შერე წავლენ, ისწავლიან  
ყანისა და შრომის ღეჲსებს.

## სარეველა



გამოსულხარ არეველად,  
ავო სარეველა,  
ყანისათვის მიწის წვენის  
გამოსალეველად.


გახარებას უშლი ყანას,  
ფესვს ეხობი ღანად,  
ჰა, მოვედიღო და ჩვენს თოხებს  
გაღურჩები განა?!

გამოსულხარ არეველად,  
ვერ იხარებ, ვერა,  
აგრემც, ძირი გაგხოზობია,  
ავო სარეველა!...

## ყაყარი

წუხელ წვიმაღა, ღღეს ყაყარი  
აბიბინღა ყანაში;  
გვიხარია პიონერებს,  
ყანაში ვართ, განა შინ.

სულ პატარა სიმინდების  
ღაშქარია წინ მოელი  
ღა ყაყარი შვენიღო, როგორც  
უღლსახვევი წითელი.



ნაში მოვა ღღლით აღრე,  
ამ სიმინდებს გაწრღის ნაში,  
გაწათხუღის წვიმა მოვა,  
ღღლით მოვა თუ მოვა ღამიღო,

ყანის ფესვებს ღაახვეღებს,  
ღანს აიყრის ღურჭი ყანა,  
ღაროები ღაეყრეზა  
სიმინდს კაცის მკღავისთანა.


ღაეწაფე სწავღას მარჯვეღი,  
გაგახროს უნღა იმან,  
სწავღა გაგწრღის, როგორც ყანას  
წრღის ნაში ღა ღღლის წვიმა!

## მანრა

შენ ღაძვრები მიწა-მიწა,  
მწეხ რაღ ემაღები?!.  
ყანაში ვართ, მე წაბი-წამ  
გეძებ გამაღებით.



ამომწვეღი, ამო წევიღო,  
ყანის ფესვს ნუ ღახრაგე,  
წე სიყვარულს ამოხვევი,  
ქვე მტრულად რომ ღაახვად.



# ვერცხლის ხეობის საიდუმლო

როდემ ჩამანძე

ნან. რ. ცუცქერიძისა

პ რ ო ფ ე ს ო რ ი მ უ ს რ ა ნ ე ლ ი

გეოლოგმა რევან ნოზაძემ უეცარი გამოძახება მიიღო მოსკოვიდან. საკავშირო გეოლოგიური სამმართველო იბარებდა სასწრაფოდ: „დაუყოვნებლივ გამოცხადდით მოსკოვში; სასტუმრო „ახტურია“, მე-11 სართული, 212 ოთახი. იქიბეთ პროფესორი მუხრანელი. სსრ კავშირის გეოლოგიური სამმართველო“.

პროფესორ მუხრანელის სახელი რეზომ პირველად ამ ხუთი წლის წინათ გაიგონა, როცა ქანების ქიმიურ შემადგენლობაზე ლექციებს ისმენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თვალწინ დაუდგა ეს ხანშიშესული, თუმცადა მკვირცხლი და დაუდგარა კაცი, მაგრამ ის კი ვეღარ მოისაზრა, თუ რა საქმე უნდა ჰქონოდა პროფესორს ახალგაზრდა გეოლოგთან, რომლის სახელი კავსაიის მთებზეა არ გაცხდენია. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მოსკოვში უხმოზბდნენ და მანაც არ დააყოვნა, ექვსი დღის შემდეგ თურქმენული ხალიჩებით დაფარულ საფეხურებს მესამე სართულისაკენ მიჰყვებოდა. სართულის მორიგე კალმა, რომელსაც

ქორფლიანი ცხვირი წიგნში ჩაერგო და გატაცებით კითხულობდა, მექანიკურად ჰკითხა ვისთან მიდიხართ. რეზომ რაღაც ჩაილაპარაკა, მორიგე კალმაც გაურკვეველი ბუბუტუტით უპასუხა, ისე, რომ თავი არც კი აუწევია, და რეზომ გზა გრძელ ტალანში განაგრძო.

ორას მეთორმეტე ოთახის კარი ღია იყო. რეზომ ოთახში კანცელარიის უაილაზე დადგმული პატარა მაგიდა აღინახა. ვიღაც ქალი რემენტონის მანქანით ბეჭდვდა.

— შეიძლება? — იკითხა მორიდებით.

— მოზრძანდით! ამხანაგი ნოზაძე, არა?! გელოდებათ პროფესორი მუხრანელი.

ქალი წამოდგა და წინ გაუძღვა სტუმარს. რევანი გაოცებული მიჰყვა ქალს. მის წინ მძიმე კარი გაიღო, ერთბაშად დიდ დარბაზში აღმოჩნდა.

მარცხნივ, სავარძელში, შუა ხანს ვადაცილებული კაცი იჯდა. რეზომ ამ კაცში მუხრანელი ამოიცნო და გაიფიქრა, რომ იგი ოდნავ მოტეხილიყო. მის პირდა-



პირი ოთხი სავარძელი იდგა და ოთხივე დაკავებული იყო.

— გეოლოგი რევაზ ნოზაძე, არა?— იცნობა პროფესორმა და მკვირცხლად წამოიღო. — ასე და ამგვარად, მეგობრებო, ჩვენი ჯგუფი შეივსო.

მუსრანელმა თვალის მოავლო ოთხ ახალგაზრდას, რომლებიც, ის იყო, სავარძლიდან წამოიღებნენ.

რევაზი იდგა იმ კაცის სახით, რომელიც სიბნელედან ერთბაშად გაჩახახებულ ოთახში შეეგანეს და ჯერ ვერ გაუგია რა ხდებდა მის თავს. მაშინდა გამოერკვა, როცა მხარზე პროფესორის ხელი შეხება.

— აბა, იცნობდით... ეს გეოლოგი სერგეი პეტრის ძე საველიოვი გახლავთ. ფეხით აქვს დავლილი მთელი ურალი... ახალგაზრდა კაცი, რომელიც უკვლავ ახლოს იდგა რევაზთან, სათნო ღიმილით მიეხალმა.

— ეს ივან ალექსის ძე ნაზარენკოა. ოთხჯერ იყო იალტუში, ლარტაფებზე ჯიხვივით დახტის. — ნაზარენკომა გაუცინა რევაზს და კვლავ სავარძელში მოიკალათა.

— აი, კიდევ— გრიგოლ არკადის ძე მარტინოვი, ცნობილი ალბინისტი. მეტივანის შვილია— მამამისი ტივებს აცურებდა ვოლგაზე, თვითონ კი ეშმაკებს დახდეებს მთებში... — მარტინოვის ცისფერი თვალები ნოზაძისა გადაეუბოკა.

— ჩემი კოლეგა, მარკ გიორგის ძე კომაროვი, — შუახნის კაცი წინ წამოიღო და ახალმოსულს ხელი ჩამოართვა.

— მეგობრებო, ჩემი თანამემამულე ალბო უკვე იცანით— რევაზ ნოზაძეა. მის შესახებ ქართულ გაზეთში წაგვიკითხე აქებდნენ, გაბედული და უშიშარი ოქროსმამიებილიაო, ამიტომაც ვიხშიე.

აქ პროფესორი შეჩერდა, თვალბინით ოთახი მოათვალიერა, მერე ხმამაღლა დაიძახა:

— ტანია, სადა ხარ? მოდი!

ოთახში ის ქალიშვილი შემოვიდა, სულ პირველად რომ შეხვდა რევას.

— აი, ესეც ჩვენი ექსპედიციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი— ტატანა ვერგოვლის ასული წამოა. ასე და ამრიგად, თქვენ უკვე იცნობთ ერთმანეთს და მე ბრძანებას ვწერ დღეიდან უახლოესი მეგობრები გახდეთ! — ღმილით დაასრულა პროფესორმა. მერე სავარძელში მოწყვეტილ ჩაეშვა. მასვე მიზამეს სხვებმაც. რევა ტატანას მიერ მოწოდებულ სკამზე დაჯდა.

— ამხანაგო ნოზაძე, — მიუბრუნდა მუსრანელი რევაზს, — ჩვენ მივემგავებებით შუა აზიაში, ცნობები გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვართან, მთებში, ოქროს მდიდარი საბადოები მოიპოვება. დღემდე ორი ექსპედიცია იყო ამ მხარეში; ერთი უშედეგოდ დაბრუნდა, მეორე კი— პროფესორ მირლიანის ექსპედიცია მთლად დაიკარგა. ჩვენი ექსპედიცია, წინამორბედებთან შედარებით, უფრო გამძლე ბიჭებოთა დაკომპლექტებული, ამისთვის მე პირადად ვზრუნავდი.

პროფესორი ერთ წუთს გაირინდა და შემდეგ შეპარვით კითხა:

— რას ფიქრობთ, გინდათ ჩვენთან წამოხვალა? — ჩემთვის დიდი პატივია, პატივცემული პროფესორი.

— გეთაყვა, ნუ დამიძახებთ პროფესორს, მიწოდეთ უბრალოდ ნიკო, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ნიკოლოზ ილიას ძე. სროლაზე როგორ ხართ?

— როგორ სროლაზე? — ვერ ვიცი ახალგაზრდა გეოლოგმა.

— ნიშნში თუ კარგად ისვრით, რევოლვერს თუ ხმაორობ? ჩვენ ყველანი ძველი მონადირეები ვართ.

— მეც არა მიშვას, ვისვრი თოფიდან, რევოლვერიდანაც, თუ საჭირო იქნება, ქვემიხსაც გავისვრი.

— მაშ ასე, შევთანხმდეთ: ხვალ მატარებელს სამხრეთისკენ გავყვებით. ჰო, მართლა, თქვენ ახალ მეგობრებთან ერთად მოისვენებთ, სპეციალური ნომერი გეოლოგებია.

პროფესორი წამოიღო და ამით კოლეგებს ანიშნა, რომ დადენიცა და მთავრებული იყო.

კარებში გამოსვლისას საველიოვმა რევაზს ხელმკლავე გაუკეთა.

— ესე იგი, ხვალ მივდივართ ვერცხლის მთებში! — ვერცხლის მთებში?!

— დიან, რა გაგიკვირდაო?

— ჰო, მე სადღაც გამოვია მაგ მთების შესახებ, — თითქმის თავისთვის ჩაილაპარაკა რევაზმა.

— გაგონილი გექნება, იქ ოქროს გარდა ბასმარბაც ბლემბა მოიპოვება, — საველიოვმა თითები დატკაცუნა, — მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები ბიჭები, ჰა, რას იტყვი?

რევამ გაიცინა, ისინი ტალანის ბოლოს, ბუფეტთან იდნენ...

...

მატარებელმა ტაშენტის ვაგზალს მიაკივლა. ექსპედიციის წევრები ხმაურით გამოიშალნენ დერეფანში. მატარებლის გამყოლი— ახანბი, კორფლიანი კაცი ათვალა წუწუნებით ათვალეობრებდა ათახვარი ხარახურით დატვირთულ ადამიანებს. მისი გაოცებული თვალები შუკარად ამზობდნენ— „მეცოლებით თქვენ, სპარალო ადამიანებო, ასეთ ცასპირში რომ ჩავგივლით თავი“.

ვაგონში ცალკაათიფე წლის ახალგაზრდა ამოვიდა.

— პროფესორ მუსრანელის ექსპედიციის წევრები მინდა, — თქვა მან და წვრილი, ირბი თვალები მუსრანელს შეანათა.

— ჩვენ ვახლავართ, ყმაწვილო.

— მაშ, ვიცნობდით, — გაუხარდა უზბეკს, — მე თქვენი ექსპედიციის წევრი ვარ— ბასრან მუხამელოვი.

— კეთილი, კეთილი.

ზუსტად ორი საათის შემდეგ ექსპედიციის წევრები ხკამოდ ჭუჭყიან სახალსებში იხსნენ. მუხამელოვი

მეოთხე ქიქა ჩაის ხვრება და სვენებსვენებით ჰყვე-  
ბოლა:

— შეთანხმების თანხმად, ყველაფერი მოვაშა-  
დეთ. აქედან ვერცხლის ხეობის დასაწოხსამდე მიგვი-  
ყვანს ორი სატირთო მანქანა, შემდეგ სამანქანო გზა  
თავდება, სურსათს გადავიტანო ოთხ სახედარზე, რომ-  
ლებიც შევიძინეთ თურქმენებისაგან. გამყოლი, სახელ-  
რებით, ვერცხლის ხეობის დასაწყისში, მანქანის საბო-  
ლოო პუნქტზე გველოდება.

მუხრანელი დაფიქრებული დაპურებდა ჩაის  
მოზრდილ ქიქას. უეცრად, შავილის ბოლოში, ხაველიე-  
მა თავი ახწია და ხმამაღლა თქვა:

### ვ ი რ ც ხ ლ ი ს მ თ ე ბ ი

იმავე დღეს, მიიმედ დატვირთული ორი მანქანა  
სამხრეთისაკენ დაიძრა. სამი დღე-ღამის განმავლობაში  
ებრძოდნენ ექსპედიციის მონაწილენი უდაბნოსა და  
უგზოობას. მეოთხე დღეს, გვიან საღამოთი, ვერცხლის  
ხეობაში შევიდნენ. მანქანები მშვიდად მიჰყვებოდნენ  
გიჟმაგი მდინარის მარჯვენა სანაპიროს. ტაშკენტში  
მგზავრებს ოცდათუთმეტგრადუსიანი სიცხისაგან ოფ-  
ლი სდიოდათ, აქ კი შესცივლათ კიდევ.

ბაზანი წინა მანქანაში იჯდა, კაბინიდან ხშირად  
ჰყოფდა თავს და თვალებით რაღაცას დაემებდა. ბო-  
ლოს ერთბაშად შეჰყვირა:

— კოცონი, კოცონი! ისინი არიან!

საველიემა, რომელიც ამდენ ხანს ძარაში თვლემ-  
და, თვალები მოიფშვინტა და შემკრთალმა იკითხა:

— რა აუვირებს ამ ჩვენს მასპინძელს!

— სადღაც კოცონი შენაშნა, — უპასუხა რევაშმა  
და ძარადან გადაიხარა.

— დააკვირდით, მეგობრებო, ჩვენი ექსპედიცია  
ყველაზე უფრო ინტერნაციონალურია მსოფლიოში.  
რუსები, ქართველები, უკრაინელები, უზბეკები... მითა-  
რაღა გინდათ?

— ურიგო არ იქნებოდა, ერთი თურქმენიც რომ  
შეგვემხანაგებია, — ჩაილაპარაკა მარტინოვმა.

— თურქმენი ვერცხლის ხეობაში დაგვხვდება, —  
ღმილით თქვა მუხამედოვმა და ჩაი მოსცა.

— ესე იგი, — დამარცვლა პროფესორმა, — ჩვენ არა-  
ფერი აღარ გვაბრკოლებს...

ბაზრანმა კაბინის კარი გააღო, თვალისდახამამე-  
ბაში ძარაში აპორტყდა და დაუფარავი სიხარულით  
შესაშა:

— აი, ხელმარჯვენე, წერტილივით ჩანს, სამ საათ-  
ში იქ ვიქნებით.

მანქანები სულ ზევით და ზევით მიიწევდნენ.  
ახლა უკვე გარკვევით ჩანდა ცეცხლის გრძელი და  
ფართო ენები. ვიღაცამ თქვა, აღამიანებსაც ცხედავო.  
მანქანებმა უკანასკნელი კოლომეტრები აიარეს, აივაკეს,  
კოცონს წრე შემოავლეს და ზუზუნითა და ქოშინით  
დადგნენ.

პირველად ბაზრანი გადახტა.

— ემეო, თქვენი გამარჯვება იყოს!

ექვსი აღამიანიდან, რომელთაც თავზე მაღალი  
თურქმენული ბოხოხები ეხურათ, ორი ბაზრანისაკენ  
გამოემართა.

— ვაკოშარვოლი! — თქვა ერთმა და მუხამედოვი  
ცეცხლისაკენ ხელკავით წაყუანა.





— ყველაფერი რიგზეა, ამხანაგო ზანგუროვო?—  
იკითხა ბახრანმა.

— ყველაფერი, ჩემო ბახრან.

ეს სიტყვები მუხრანელმაც გაიგონა, რომელ-  
საც მანქანიდან გადმობტონა უკვე მოესწრო და ახლა  
კოლეგების თანხლებით კოცონთან გაჩნდა.

— აცნობდი, პროფესორი მუხრანელი,—თქვა  
მუხამედოვმა.

მისალმების შემდეგ მორბეზე ჩამოსხდნენ.

— გამყოლი ორი გვეყოლებათ,—თქვა ზანგუროვმა  
და ბახრანს შეხედა,—ამით არაფერი ღამავდება. პი-  
რიქით, რაც მეტი იქნებით, მით უკეთესი.

— ჩვეი ერთიც გვეყოფოდა,—მიუგო ბახრანმა.

— თქვენი ნება იყოს.

ზანგუროვმა მხრები აიჩჩია. იმ წუთს მუხრანელმა  
რალაც გაიფიქრა და ერთბაშად თქვა:

— ბახრან, ორი იყოს, მით უკეთესი!

მუხამედოვმა კვლავ იკითხა:

— სახედარი, რამდენია?

როცა პასუხად მიიღო—ზუთოო, ცცხლთან შეკრე-  
ბილ დანარჩენ მასპინძლებს მიუბრუნდა:

— აბა, წამოდგენენ გამყოლები!

პირველად საშუალო სიმაღლის კაცი ადგა და  
მუხამედოვთან ახლოს მივიდა. ბახრანმა მას ბოხოხი  
აუწია და ხმადაბლა თქვა:

— ოსმან, შენა?

